სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080160681849818

 # 1234 **07 / მაისი / 2018 წ.**

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 3 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP180001052 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია I-VI კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების მინიჭების მომსახურებების (CPV- 92300000 - გასართობი მომსახურებები) შესყიდვა, ღირებულებით - 7500000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხის და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემის განვითარების და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ მიმდინარე წლის 22 თებერვლის № 15 ბრძანების საფუძველზე ახორციელებს „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას“. 2018-2019 სასწავლო წლიდან იცვლება I-VI კლასის სახელმძღვანელოები და მათ შესარჩევად ამჟამად მიმდინარეობს გრიფირების პროცესი, რაც თავისი შინაარსით, მოიცავს სახელმძღვანელოების სტანდარტის დადგენას ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში. ამ სტანდარტის ავტორებისა და გამომცემლებისათვის გაცნობას, სახელმძღვანელოების მომზადებას და სახელმწიფოს მიერ შერჩევას უკვე მეორე წელია ახორციელებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2018 წლის 15 სექტემბრისათვის I-VI კლასის მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ ახალი სახელმძღვანელოები. იმის გათვალისწინებით, რომ საავტორო ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის გარეშე სააგენტო ვერ მოახდენს ავტორებთან სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმებას, ხოლო ამ ხელშეკრულებების გარეშე სააგენტო ვერ შეძლებს I-VI კლასის სახელმძღვანელოების დაბეჭდვას და მოსწავლეების საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფას, ღონისძიება ატარებს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს.

როგორც მომართვიდან ირკვევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის № 8/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ თანახმად, სააგენტო ახორციელებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის რეპროდუცირების, გადამუშავების, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემისა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების და დისტრიბუციის მომსახურებათა სახელმწიფო შესყიდვას, დებს შესაბამის ხელშეკრულებებს და ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს. იმისათვის, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის № 28/ნ ბრძანებით დადგენილი გრიფირების ეტაპების დასრულებისა და გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საავტორო უფლების მფლობელებთან შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, საჭიროა საავტორო უფლების მფლობელმა გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტოს მიერ შერჩეულ გარანტორს, სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს გრიფირების თითოეულ განაცხადზე ინდივიდუალურად, შესაბამისი იდენტიფიკატორებით (საავტორო უფლების მფლობელის დასახელება, განაცხადის ID). გარანტორი უზრუნველყოფს ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობას და მის გასაჯაროებას ახდენს სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, სააგენტოს მიერ მითითებულ დროს. სახელმძღვანელოსათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და ფასდაკლების ოდენობის გასაჯაროების შემდეგ, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საავტორო უფლების მფლობელთან ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რისთვისაც ადგენს თითოეულ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის საბოლოო შეწონილ ქულას და რეიტინგს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ საგანში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ალტერნატივების რაოდენობა აღემატება 3-ს, სააგენტო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების რანგირებული სიიდან შეარჩევს ყველაზე მაღალი ქულის არაუმეტეს სამ სახელმძღვანელოს/სერიას, რომლებიც შესარჩევად წარედგინება სკოლებს. გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს/სერიის ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების (რეპროდუცირება, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება) შეძენისათვის სააგენტოსა და საავტორო უფლების მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სააგენტოს მიერ საავტორო უფლების მფლობელისათვის გადასახდელი ჰონორარი მოიცავს საბაზისო ჰონორარს, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ, ერთჯერად თანხას და ტირაჟის ოდენობის მიხედვით გადასახდელ თანხას, რომელიც გადაიხდება ყოველწლიურად, ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოების შერჩევის პროცედურა არის კომპლექსური, მოიცავს ბევრ ხარისხობრივ და ტექნიკურ პარამეტრს, რომლის მიღმაც ასევე გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ღირებულებების რელევანტურად წარმოჩენის აუცილებლობა. შეფასების და ავტორთა მხრიდან რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესს დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. ვინაიდან 2018 წლის 15 სექტემბრისათვის I-VI კლასის მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ ახალი სახელმძღვანელოები, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ დადგენილ ვადაში ვერ მოხდეს მითითებული შედეგის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული მომსახურებების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია I-VI კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების მინიჭების მომსახურებების შესყიდვა.

ამასთან, ვინაიდან სახელმძღვანელოების შერჩევის პროცედურა არის კომპლექსური, მოიცავს ბევრ ხარისხობრივ და ტექნიკურ პარამეტრს, რომლის მიღმაც გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ღირებულებების რელევანტურად წარმოჩენის აუცილებლობა, ასევე შეფასების და ავტორთა მხრიდან რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესს დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო, ხოლო 2018 წლის 15 სექტემბრისათვის I-VI კლასის მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ ახალი სახელმძღვანელოები, მოცემული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ შეზღუდულ ვადაში ვერ მოხდეს მითითებული შედეგის მიღება.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP180001052 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1163 2018 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსწავლეების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს I-VI კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების მინიჭების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 32 02 06), რომელსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი